ხელშეკრულება №11
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „ 20 ”თებერვალი 2017 წ.

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ცხინვალის „ცხინვალი“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენელი კლუბის გენერალური დირექტორი გივი ქვრივიშვილს სახით და შპს „ ავერსი - ფარმა“ , შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”, წარმოდგენილი კომერციული დირექტორი ეკატერინე ბურძენიძის (მინდობილობის სარეგისტრაციო #160706792 ინდივიდუალური #15790663683016) სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები”, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. **ხელშეკრულების საგანი:** ხელშეკრულების საგანია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვა (შემდგომში – საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
   ფარმაცევტული პროდუქტები - **cpv -33600000** -512 (ხუთას თორმეტი) ლარი და 91 თეთრი
   სამედიცინო მოწყობილობები - **cpv -33100000** -6 (ექვსი) ლარი 30 თეთრი
2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 519 (ხუთას ცხრამეტი ლარი და 21 თეთრი) ლარს დ.ღ.გ ჩათვლით.

2.2 მისაწოდებელი საქონლის მოცულობა და ერთეულის ღირებულება განისაზღვრება ქვემოთ მითითებული ფასების მიხედვით:

№	წამლის დასახელება	cpv	რაოდენობა	ერთ.ფასი GEL	თნხ. GEL
1.	ალგოფლექს ფორტე 600მგ #10ტ	33690000	2	7,35	14,70
2.	აქტოვეგენი 40მგ/მლ 2მლ #25ა	33690000	1	61,74	61,74
3.	ბინტი 7მx14სმ არასტ. (იმპ)	33141113	10	0,63	6,30
4.	გიდროკორტიზონი 1% 10გ მალ(ნიჟფ-	33690000	5	1,13	5,65
5.	დიკლაკი ჟელე 5%50გ ტუბ	33690000	10	5,91	59,10
6.	დიკლობერლი რეტარდი 100მგ#20კაფ	33690000	1	10,40	10,40
7.	ვიტრუმი #100ტ	33690000	2	20,70	41,40
8.	ვოლტარენი 75 მგ/3მლ #5ა (იმპ)	33690000	5	7,70	38,50
9.	ვოლტარენი ემულგელი 2% 100გ	33690000	5	11	55
10.	კალციუმი +D3 ფორტე #120ტ საღეჭი	33616000	2	24,75	49,50
11.	ლიოტონი 1000 50გ ჟელე	33690000	2	13,98	27,96
12.	მეზიმ ფორტე 10000 ერთ #20დრაჟე	33610000	1	9,38	9,38
13.	ოსტეოქეა #90ტ	33690000	1	50,38	50,38
14.	რიბოქსინი 0,2გ #50ტ	33690000	6	1,35	8,10
15.	სავარექსი 50გ ჟელე	33690000	2	16,92	33,84
16.	ფასტუმ გელი 2,5% 50გ ტუბ	33690000	3	10,62	31,86
17.	ჰეელი-ტრაუმელ S 2,2მლ #1ა	33690000	5	3,08	15,40
	ჯამური ღირებულება				**519,21**

3. შესყიდვის ობიექტის მოქმედების ვადა და ადგილი

3.1 **გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება (გადაცემა) განხორციელდება გამყიდველის კუთვნილი შესაბამისი ნებართვის მქონე აფთიაქიდან, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, ლუბლიანას 13გ** (შემდგომში „ მიწოდების ადგილი“); სადაც საქონლის გადაცემაზე სასაქონლო ზედნადებისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან შემსყიდველზე გადადის 4.1 პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლება.

3.2 „მიმწოდებელი მიწოდებას უზრუნველყოფს 2017 წლის 24 თებერვლამდე.

3.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2017 წლის 24 მარტამდე.

4.საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის

მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ან წილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებაზე ან რაიმე ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

4.2 შესყიდვის ობიექტის, საქონლის საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3 „შემსყიდველის'' მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება, მატჩების მენეჯერს, ტექნიკურ დირექტორს დავით ცაბაძე;

4.4. მიმწოდებლის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება აფთიაქის გამგეს ელენე ჯაფარიძეს.

5.ანგარიშსწორება

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

5.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

5.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1 "შემსყიდველი'' უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის'' მიერ ნაკისრ ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2 შემსყიდველი'' ვალდებულია უზრუნველყოს "მიმწოდებლის'' შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3 ,,მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით

6.4. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და გარანტიით და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

6.5 თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს. ინსპექტირებას განახორციელებს "შემსყიდველის'' მიერ შესაბამისად განსაზღვრული პირი - კლუბის ექიმი გოჩა ჩაკვეტაძე.

7.2 მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე განხორციელებული ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების/გადასახდელი თანხის 0,1%–ის ოდენობით

პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5(ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების გზით).

10.ხელშეკრულბეაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისათვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან / და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად , რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს , ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

შემსყიდველი:

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ცხინვალის „ცხინვალი“
მის. ქ. თბილისი, ქავთარაძის №21
ტელ: 571 50 30 56
სახელმწიფო ხაზინა,
ს/ კ 218 073 741

გენერალური დირექტორი
გივი ქვრივიშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ავერსი-ფარმა“
მის: ქ.თბილისი აღმაშენებლის 148
ს/კ 211386695
სს„ საქართველოს ბანკი “
ა/ა № GE06BG0000000122932100

კომერციული დირექტორი
ეკატერინე მიქელაძე